ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3703640

ნომერი: AR1559057

თარიღი : 19.11.2017

გაცემის თარიღი : 28.11.2017

გაცნობის თარიღი : 28.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ალექსიძე , N 1 , (ნაკვ. 038/011) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ქურდიანი პ/ნ 01008018346
- თბილისი ტ.ტაბიძის ქ. N 41 ბ. 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3655040 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის

19 ნოემბრის №AR1559057 განცხადებით მომართა მოქ. ქეთევან ქურდიანმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3655040 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3655040 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, ალექსიძის ქუჩის N1-ში (ნაკვ. 038/011), შპს "ჯი დი გრუპ"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.10.13.038.011 მრავალფუნქციური დანიშნულების შენობის (საცხოვრებელი, სასტუმრო, საოფისე, კომერციული) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 02 ნოემბრიდან 2017 წლის 02 თებერვლის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3655040 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ: ბრძანების მე-3 პუნქტში მშენებლობის ვადა 2018 წლის 02 თებერვლის ნაცვლად დაფიქსირებულია 2017 წლის 02 თებერვლის ჩათვლით. ასევე, ტექნიკური შეცდომა ფიქსირდება ზემოაღნიშნული ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირებულია 1067.4 კვ.მ ნაცვლად 1072.3 კვ.მ-სა, საერთო ფართობად დაფიქსირებულია 6066.0 კვ.მ ნაცვლად 6070.9 კვ.მ-სა.
სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 19 ნოემბრის №AR1559057 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3655040 ბრძანებას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3655040 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3655040 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 1072.3 კვ.მ; საერთო ფართობად დაფიქსირდეს 6070.9 კვ.მ.
2. გასწორდეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3655040 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ამავე ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 02 ნოემბრიდან 2018 წლის 02 თებერვლის ჩათვლით.“
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3655040 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 ნოემბრის №3655040 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.